JEDER M² DU ,extratapete

design: irakli Kiziria

www.designprovocation.com



შპალერი. 261 x 46.5cm

BASIC, LOVE & WAR

დისტანციიდან აბსტრაქტული და ნაცრისფერი. ახლოდან დეტალებით მდიდარი და საინტერესო FAMILY 3 -ის სამი განსხვავებული ვერსიის (BASIC, LOVE & WAR) შეკვეთა შესაძლებელია pdf ფორმატში.

acid, რესტორანი კალა, KGB, near Opera....

KALA ჯგუფი

ფოტო ნანკა დოლიძე dt

“კალა ჯგუფი” ერთ-ერთი დიდი ქსელია, რომელიც საკვები ობიექტების გაერთიანებას წარმოადგენს. “კალა ჯგუფში” შემავალი რესტორნები და კაფეები გამოირჩევა როგორც განსხვავებული, ორიგინალური, დახვეწილი დიზაინით, ასევე ექსკლუზიური საკვებით და სასიამოვნო გარემოთი. შეიძლება ითქვას, რომ მათ მიერ შექმნილი პროდუქტი ერთგვარად თბილისის სავიზიტო ბარათს წარმოადგენს, როგორც ადგილობრივებისთვის, ისე ტურისტებისთვის, რომლებისთვისაც ქვეყნის გასაცნობად აუცილებელი ერთ-ერთი კომპონენტი სწორედ ეროვნული საკვები დაწესებულებებია.

“კალა ჯგუფის” ქსელში შედის კაფეების ქსელი „acid“, რესტორანი კალა, KGB, კაფე ოპერასთან, წლის ბოლომდე იგეგმება რამდენიმე ახალი ობიექტის გახსნა. [>

გაგრძელება ____024 dt

დღის კაფე, გალერეა, ბარი, ღამის კლუბი

Cafe-gallery

ფოტო კაფე გალერეა

კაფე მოიცავს რამოდენიმე სხვადასხვა სივრცეს: პირველი სართული (რომელიც რეალობაში მეორე სართულია რუსთაველის მხრიდან), ეზო და მანსარდა.

იდეა და მიზანი იყო, ავტორს მოეწყო ინტერიერი რომელიც იქნებოდა შედგენილი ისეთი დეტალებისგან რომელიც ადამიანისთვის (ქართველი, ყოფილი საბჭოთა მოქალაქესთვის) ძალიან ახლო და ნოსტალგიური გახდებოდა: ანუ აქ გამოყენებულია ისეთი ავეჯი და დეტალები რომლებსაც სტუმარი ხედავდა მის საცხოვრებელ სახლში, მეგობართან სტუმრობისას, მოაგონებდა მისი ბავშვობის ან ახალგაზრდობის საცხოვრებელ სახლს ან სკოლას. [>

გაგრძელება ____021 dt

პოპ-კულტურის ანთოლოგია ინტერიერში

Boombully Rooms & Hostel

ფოტო dt

ტურიზმის განვითარებასთან და უცხოელი მოგზაურების ინტერესის გაზრდასთან ერთად, თბილისში ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში არა ერთი სასტუმრო გაიხსნა, მაგალითისთვის, ჰოსტელების რაოდენობა თბილისში თითქმის არ ჩამოუვარდება ისეთ ტურისტულად განვითარებულ ქალაქს, როგორიც პარიზია, რასაც სამწუხაროდ ვერ ვიტყვით მათ მრავალფეროვნებაზე. ერთ-ერთი ასეთი ჰოსტელი რუსთაველის 24 ნომერში მდებარეობს. თბილი, “მსუბუქი” გარემოთი მოცული, კომფორტული სასტუმრო სახელწოდებით ”Boombully Rooms & Hostel”. აქ ტურიზმს და სასტუმროს სერვისს სხვანაირად ხედავენ, სტუმრებს მიმღების ნაცვლად მასპინძლები ხვდებიან და მოგზაურობის ბოლომდე თავს პირად სტუმრად აგრძნობინებენ. [>

გაგრძელება ____020 dt

Grey Gardens ___018 dt

ფოტო ნანკა დოლიძე DESIGNTbilisi

ინტერიერში ცემენტის გამოყენება საკმაოდ პოპულარულია დღეს, განსაკუთებით კი ხესთან და შუშასთან ერთად. ნაცრისფერი ბაღები გვიჩვენებს თუ როგორ შეიძლება ინტერიერი არქიტექტურის ბუნებრივი გაგრძელება იყოს. არსებული სტრუქტურა, ამ შემთხვევაში ცემენტი, საბაზისო, მთავარი ელემენტია, რომელიც სივრცეს ერთდროულად გლუვ და არარაფინირებულ სახეს აძლევს. დაუმუშავებელ კედლებს მომხიბვლავი არასრულყოფილება შემოაქვს. მცენარეები ცემენტის სიცივეს ანეიტრალებს და გარემოს უფრო კომფორტულს ხდის. ასე რომ, ცემენტი და მცენარეები ერთმანეთს აბალანსებს და ინტერიერსა და ექსტერიერს შორის ურთიერთკავშირის საზღვარს ადგენს.



NOAStudio

პირველი საერთაშორისო არქიტექტურული ოფისი საქართველოში.

NOAStudio არის არქიტექტურული კომპანია, რომელიც დაარსდა 2005 წელს თბილისში, მიკა ყრუაშვილის (1961, თბილისი) და ქეთევან ყრუაშვილის (1981, თბილისი) მიერ.
კომპანიის მომსახურება მოიცავს არქტიტექტურულ პროექტირებას, ურბანულ დაგეგმარებას და დიზაინს, ინტერიერის დიზაინს და პროექტის მენეჯმენტს.
2010 წლიდან კომპანიას შეემატა მესამე პარტნიორი, პორტუგალიელი არქიტექტორი სეზარ რიბეირო (César Ribeiro, 1975, porto).

“ჩვენი მიზანია განვსაზღვროთ არქიტექტურული სივრცე შუქსა და ფორმას შორის დიალოგის მეშვეობით; შევქმნათ კონკრეტული გარემო ყოველი პროექტისთვის. ეს პრინციპები გვეხმარება განვსაზღვროთ მეოთხე განზომილება არქიტექტურაში: სივრცის გამოყენება; სივრცეში მოძრაობის მიმართულების და რიტმის კარნახი; შეგრძნებების და ემოციების გამოწვევა; სადაც არქიტექტურა არ არის სტატიური არამედ გარდაიქმნება სცენად.
ასეთი აზროვნების მიდგომით ჩვენი არქიტექტურა შეიძლება აიღწეროს როგორც კონცეპტუალური არქიტექტურა.
ჩვენ ვემხრობით პურიზმს და ფორმალიზმს არქიტექტურაში. ჩვენი სურვილია რომ არქიტექტურა იყოს ჭეშმარიტი თავისი არსის მიმართ.”



ვლადიმერ კობახიძის მასტერ კურსის პროექტი
Domus Academy the “Volkswagen Plus” master course project
2009-2010 მილანი, იტალია

“Volkswagen Plus” პროექტი მოიცავს ერთ წლიანი მასტერ კურსის თეზის პროექტს, რომელიც განხორციელდა ცნობილი იტალიური აკადემიის “Domus Academy” და ცნობილი გერმანული ბრენდის “Volkswagen”-ის თანამშრომლობით. სადაც ჩართული იყო გერმანული ბრენდის დიზაინ ჯგუფი და უშალოდ მათი კოორდინაციით ხორციელდებოდა მასტერ პროექტის განვითარება და საბოლოო შედეგი.



Brief -- მასტერ კურსის დავალება
“Domus Academy” -ის ავტო დიზაინის მასტერ კურსის ძირითადი მოთხოვნა მოიცავდა “Volkswagen”-ისთვის მომავლის ხედვას, რაც ინგლისურად ასე ჟღერს “The new Luxury for Volkswagen” ანუ რა იქნება პრიორიტეტული მომავლის მომხმარებლისთვის, ყველა ის მნიშვნელოვანი კრიტერიუმი და ტენდენციები რაც შეიძლება მოთხოვნადი იყოს მომავლში.

კვლევა და ანალიზი
ავტო მწარმოებლები ძალიან დიდ რესურს უთმობს ბრენდის მომავლის განვითარებას, რაც გამოიხატება მუდმივი კვლევით და ამა თუ იმ ტექნოლოგიური სიახლის დანერგვით. ამ მხრივ გამონაკლისს არც “Volkswagen”-ი წარმოადგენს.
მასტერ კურსის ჯგფური კვლევის შედეგად გამოვლინდა ტრანსპორტის სფეროში არსებული პრობლემატური ასპექტები, რომლებიც მომავლში უფრო გართულებულ სახეს მიიღებს. აგრეთვე აქცენტი გაკეთდა ტექნოლოგიურ სიახლეებზე, თუ როგორ შეიძლება გარდაიქმნას თანამედროვე ტექნოლოგია უახლოეს მომავლში, აგრეთვე რა შეიძლება იყოს ენერგო რესურსი და უსაფრთხოების მაჩვენებლები, ვინაიდან დღევანდელი უსაფრთხოების სატნარტები აშკარად საჭიროებს სრულყოფას. ავტომობილი 100% მძღოლზე არის დამოკიდებული, რაც ექსტრემალურ მდგომარეობაში ხშირად სავალალოდ სრულდება. მომავლის კვლევა ამ დარგში და თანამედროვე ტექნოლოგიების სამომავლო განვითარება ავარიული შემთხვევების 0 % -ამდე შემცირების საშუალებას იძლევა. ტრანსპორს შეეძლება მომხმარებლისგან დამოუკიდებლად გარემოსთან კოორდინირებული კომუნიკაციის დამყარება, რაც მას უსაფრთხოების დონის მაღალ სტანდარტზე აიყვანს.
რათქმაუნდა კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს აგრეთვე წარმოადგენს ბრენდის დიზაინ სახე და თუ რა შეიძლება იყოს მომავლის დიზაინ ტენდენცია და როგორი ცვლილება შეიძლება განიცადოს.

ინტერიერის დიზაინი: თინა ასათიანი, ვიკა ბუხნიკაშვილი

Grey Gardens

დასაწყისი ____028 dt

პალიტრა საკმაოდ ნეიტრალურია: ჰაეროვანი თეთრისაგან, ნაცრისფერი ცემენტისაგან და მცენარეების ბუნებრივი მწვანისაგან შემდგარი. სივრცეს ურბანული სიმწვანის გამაცოცხლებელი აურა აქვს. ამ შემთხვევაში, მწვანე ფერს სიმშვიდე და სისუფთავე შემოაქვს ინტერიერში და ამავდროულად აქცენტუალურ ელემენტად გვევლინება ამ სივრცისთვის. საუკუნეების წინ დადგინდა, რომ მცენარეებთან ან სხვა სახის ბუნებრივ ელემენტებთან ადამიანების ახლო კონტაქტი ფსიქოლოგიური კეთილდღეობის სტიმულირებას ახდენს და ადამიანის განწყობაზე დადებითად მოქმედებს. აქაურობა ქალაქის ინდუსტრიულ ოაზისად ან კოსმოსურ ხომალდზე გაშენებულ სათბურად შეგვიძლია აღვიქვათ, რომელიც იმისათვის არის შექმნილი რომ მგზავრები ბედნიერად და კეთილგონივრულად ასაზრდოვოს.

//////////// ია ქუთათელაძე



ფოლკლორული ცენტრის პროექტი ფრაგმენტები

ფოლკლორული ცენტრი წარმოადგენს საზოგადოებრივი დანიშნულების შენობას, სადაც ჩატარდება კონცერტები და წარმოდგენები. იგი სხვადასხვა გასტროლებს უმასპინძლებს. შენობა დაყოფილია სამსახიობო და სამაყურებლო ნაწილებად. სამსახიობოში შედის სარეპეტიციო დარბაზები, სავარჯიშო და მოსასვენებელი ოთახები და მსახიობებისთვის განკუთვნილი სათავსები. სამაყურებლო ნაწილში კი – 500 კაციანი საკონცერტო დარბაზი, კაფეები, საგამოფენო დარბაზები და სხვ. ეს ორი ფუნქცია ერთმანეთისგან დამოუკიდებელია და არ ხდება ნაკადების გადაკვეთა.

საპროექტო ტერიტორია განთავსებულია ქალაქ თბილისში მტკვრის მარცხენა სანაპიროზე. კერძოდ, უზნაძის კუჩასა და სანაპიროს ქუჩებს შორის, ყოფილი ტუბ.დისპანსერის ადგილზე. როგორც ცნობილია, თბილისში ბევრი რთული და მთაგორიანი ადგილია. სწორედ ასეთ ადგილს განეკუთვნება საპროექტო ტერიტორია. ეს ადგილი მტკვრის მეორე სანაპიროდან როგორც პარტერი, ისე მოჩანს და აქ უკვე მეხუთე ფასადის თემაც ჩნდება. ამიტომაც, ძალიან მნიშვლეოვანია, როგორ განთავსდებოდა ამ ტერიტორიაზე საკონცერტო დარბაზი, რომელიც ყველა მხრიდან შთამბეჭდავი და აღქმადი უნდა იყოს. რელიეფის სირთულის, გეგმარებითი მოთხოვნების და შინაარსობრივი მხარის შერწყმით მივიღეთ მინის კუბი. მასში მოთავსებულია თეთრი პლასტიკური სხეული, რომელიც მოძრაობასთან, ცეკვასთან და პლატიკასთან ასოცირდება. მისი მოქნილი და ელასტიური ფურცლები ისე არის განლაგებული, რომ ყოველი წერტილიდან საინტერესო და შთამბეჭდავი ხედი იქმნება. სწორედ ეს არის მინის კუბის მთავარი ნაწილი და ბირთვი, რომელშიც წარმოდგენები და კონცერტები იმართება. იგი შენობის დომინანტია როგორც თემატიკით, ასევე შინაარსობრივი მხარითაც. მინის კუბში განთავსებულია სხვადასხვა საზოგადოებრივი დანიშნულების სათავსები: ფოიე, კაფეები, საგამოფენო დარბაზები, გამწვანებული ტერიტორიები და სხვ. მინის კუბში გარემო ისეა მოწყობილი, რომ მომსვლელს თავი ღია ცის ქვეშ ეგონება, თუმცა წარმოდგენის დაწყებისას ეს განწყობა იცვლება და საკონცერტო დარბაზი იწყებს ფუნქციონირებას რეალურ სამყაროში.

ლიზა ხუნდაძე დაიბადა 1986 წელს თბილისში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, არქიტექტურის ფაკულტეტი. სწავლის პერიოდში მონაწილეობდა ვორკშოპებში: დავით აღმაშენებლის გამზირის რესტავრაციისა და რეაბილიტაციის პროექტში - ბერლინი, გერმანია.
საბჭოთა კავშირის არქიტეტურის ტრანსფორმაცია, ჰოლანდიელ არქიტექტორებთან ერთად - თბილისი, საქართველო.

ორჯერ აიღო პირველი ადგილი საუკეთესო სტუდენტის პროექტში, ჟურნალი სტილის დაჯილდოებაზე.
მონაწილეობა მიიღო ფლორეციის ფესტივალზე და 2009 წელს ჰოლანდიის არქიტექტურის ბიენალეზე, პროექტით "მიკრო საცხოვრებელი რაიონები"
სწავლის პერიოდში მუშაობდა მირზაშაფის ქუჩის განაშენიანების პროექტზე "არქიტექტურულ ჯგუფი და პარტნიორებში".
2010 წელს გაიარა სტაჟირება ლონდონში "SPPARC ARCHITECTURE"

ამჟამად მუშობს არქიტექტურულ კომპანია ნეო-ა-ში.



ქართულ ტელე-სივრცეში უკვე ერთი წელია რაც არსებობს გადაცემა “რემონტი”. იმედის არხზე არსებულმა ამ ტელე-პროექტმა, რომელიც ადამიანებს სრულიად უსასყიდლოდ ურემონტებს საცხოვრებელ ფართს, მაყურებლების დიდი სიყვარული დაიმსახურა, რაზეც წერილების დიდი რაოდენობა და გადაცემის რეიტინგი მეტყველებს. გადაცემა არა მხოლოდ საქველმოქმედოა, არამედ ასევე შემეცნებით-გასართობი სატელევიზიო ფორმატი აქვს.
2012 წლიდან პროექტს ახალი წამყვანები და ახალი რუბრიკები დაემატა, ამასთანავე გადაცემა საშუალებას აძლევს ინტერიერის და აქსესუარების დიზაინერებს მონაწილეობა მიიღონ გადაცემაში, დაინტერესების შემთხვევაში შეგიძლიათ მიწეროთ remonti@imedi.ge ან დარეკეთ ნომერზე 246 33 29.

გიგი გვალია - ინტერიერის დიზაინერი. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში კომპიუტერული გრაფიკის ფაკულტეტზე. გახდა ბაკალავრი შემდეგ გაიარა მაგისტრატურა. სწავლა განაგრძო ლონდონის ხელოვნების უნივერსიტეტში (London University Of Arts) ინტერიერის დიზაინის განხრით. მუშაობდა ერთერთ წარმატებულ ფირმაში ინტერიერის დიზაინერის თანამდებობაზე. 2011 წელს დააარსა კომპანია GIGI GVALIA DESIGN, რომლის ძირითადი საქმიანობაა – ინტერიერის დიზაინი, არქიტექტურა და 3D ვიზუალიზაცია.

gigigvalia.com

dt_ თქვენ ნამუშევრებში პოპკულტურის მონუმენტურობა წინა პლანზე გაქვთ წამოწეული, ამით იდეის შეფუთვას ცდილობთ თუ ამ ესთეტიკას ანიჭებთ უპირატესობას ?

არანაირად არ ვცდილობ ჩემი იდეების შეფუთვას უბრალოდ ამ ესტეტიკას ვანიჭებ უპირატესობას, რადგან ამ სტილში
შესრულებული დასრულებული ნამუშევრები რეალობაში ბევრად უფრო მეტყველი და საინტერესო გამოდის დიზაინის კუთხით.

dt_ სამგანზომილებიან პროგრამებთან რომ არ გქონდეთ შეხება პროექტირების რა მეთოდს მიმართავდით ?

ალბად უფრო ძველ და ტრადიციულ მეთოდებს გამოვიყენებდი - ხაზვას, ესკიზურ ჩანახატებს და აკვარელს. თუმცა დღეს უკვე წარმოუდგენელია ნებისმიერი არქიტექტურული ობიექტი ან ინტერიერის დიზაინი კომპიუტერული 3D ვიზუალიზაციის გარეშე შეიქმნას. მიუხედავად ამისა ეს სფერო ჯერ კიდევ ახლად ითვლება და ბევრ დიზაინერს არ აქვს სამგანზომილებიან პროგრამებთან ურთიერთობის სათანადო გამოცდილება და ხარისხი, მაგრამ ისინიც ახერხებენ მაღალი ხარისხის დიზაინის შექმნას ტრადიციული მეთოდებით.

dt_ ბაკურ ბურდულს რომ შეეკვეთა თქვენთვის სტუდიის დიზაინი, გადაცემის ფარგლებს გარეთ, იგივეს დააპროექტებდით თუ სხვა რამე გამოვიდოდა ?

საერთოდ სხვა სახე ექნებოდა დასრულებულ ინტერიერს. ამ შემთხვევაში, რადგან რეალურად გადაცემის ბიუჯეტზეა ბევრი რამ დამოკიდებული და როდესაც ასეთ განსაზღვრულ ბიუჯეტთან გიწევს მუშაობა ბევრ დაბრკოლებას აწყდები. გარკვეულ დათმობებზე მიდიხარ, რის გამოც გამოყოფილი ბიუჯეტის შესაბამის ინტერიერის დიზაინს ქმნი.

dt_ რას ურჩევთ დიზაინერებს, რომლებიც თქვენს შემდეგ მოვლენ გადაცემა რემონტში?

უპირველეს ყოვლისა ვუსურვებ წარმატებას. ვურჩევ რაც შეიძლება მეტად კრეატიულები იყვნენ და მაქსიმალურად გამოიყენონ მიცემული შანსი რადგან ამ გადაცემას მათი პოტენციური კლიენტები უყურებენ და მათ მაქსიმალურად უნდა ასიამოვნონ გადაცემის ფარგლებში შესრულებული ინტერიერის დიზაინით.

dt_ რას უსურვებთ გადაცემა “რემონტს”?

გადაცემა “რემოუნტს” ვუსურვებ მეტ სპონსორს, რაც აუცილებელია ესეთი ტიპის გადაცემის ხარისხის ასამაღლებლად. ეს განაპირობებს უფრო მეტად ხარისხიანი და დახვეწილი ინტერიერის დიზაინი შეიქმნას და რა თქმა უნდა მეტ მაყურებელს მოიზიდავს, გადაცემაც უფრო რეიიტინგული გახდება.

ემა ომანაძე - არქიტექტორ-დიზაინერი. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში არქიტექტურის ფაკულტეტზე. აქვს მაგისტრის ხარისხი. თანამშრომლობს სხვა და სხვა საპროექტო და არქიტექტურულ ფირმებთან. განხორციელებული აქვს ბევრი კომერციული პროექტი თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში.

dt_ საკმაოდ ბევრი პროექტი გაქვთ შექმნილი. თქვენ თავს წარმატებულად თვლით?

კი ვთვლი რომ წარმატებული ვარ, და ეს რწმენა და პოზიტიური დამოკიდებულება მეხმარება ბარიერების გადალახვაში და რთული პერიოდების კარგი კუთხით დანახვაში, არასოდეს ვჩერდები ერთ ადგილზე, ყოველთვის ძიების პროცესში ვარ და ბოლომდე არასოდეს ვარ კმაყოფილი, რადგანაც ყოველთვის ვფიქრობ, რომ მეტის გაკეთებაც შეიძლებოდა და ეს ნამდვილად ასეა, მაგრამ სამწუხაროდ დამკვეთი ყოველთვის ვერ ახერხებს არქიტექტორის და დიზაინერის ფანტაზიებს ბოლომდე აყვეს ფინანსურად, შედეგად ვიღებთ მცირე ბიუჯეტზე გათვლილ პროექტებს, რაც პირველ რიგში ვიზუალურ მხარეს ეტყობა.

dt_ რა გამოცდილება მიიღეთ იმედის “რემონტთან” თანამშრომლობით

2. იმედის “რემონტთან” თანამშრომლობით საკმაოდ დიდი გამოცდილება მივიღე კონკრეტულ საკითხებში, კერძოდ: არარეალურად მოკლე დროში როგორ უნდა გაკეთდეს რემონტი, ისე რომ ხარისხზე არ იმოქმედოს. ძალიან დინამიური პროცესია, ამავე დროს სასიამოვნო.

dt_ გადაცემის ნახვის შემდეგ შეცვლიდით პროექტში რამეს თავიდან რომ მოგიწიოთ იგივე ობიექტის დაპროექტება?

3.მთლიანობაში არ შევცვლიდი, მხოლოდ რაღაც დეტალებს. მაგალითად, ნიშის თაროს მასალას, და გამოვიყენებდი ხის ჩარჩოს კლასიკურ სტილში. ამ შემთხვევაში არ მოხერხდა ამის გაკეთება დროის დეფიციტის გამო.

dt_ითვალიწინებდით ქალბატონი ეთერ კაკულიას სურვილებს ინტერიერის პროექტირებისას

4. რა თქმა უნდა ვითვალისწინებდი ქალბატონი ეთერის გემოვნებას. ყოველთვის ვითვალისწინებ ადამიანის გემოვნებას, რომელმაც უნდა იცხოვროს ბინაში.

dt_ რას ურჩევთ დიზაინერებს, რომლებიც თქვენს შემდეგ ითანამშრომლებენ გადაცემა რემონტთან

5. [(ეს კიტხვა ალბატ ზედმეტია :)) და ისე] ალბათ ყველამ თვითონ უნდა მიიღოს თავისი წილი გამოცდილება.

dt_ რას უსურვებთ გადაცემა “რემონტს”

გადაცემა რემონტს ვუსურვებ ძალიან დიდხანს არსებობას და ბევრი ადამიანის გულების გახარებას, ამ გადაცემას ბევრი დადებითი ენერგია და სიკეთე შეაქვს ბევრ ოჯახში და ძალიან მიხარია რომ არსებობს ადამიანების შეკრული ჯგუფი, რომელიც ამ ყველაფერს აკეთებს. თითოეული ადამიანი ამ ჯგუფში 1 რგოლია ჯაჭვში, რომელიც თავის მოვალეობას და საქმეს უზარმაზარი ენთუზიაზმით ასრულებს. დიდი მადლობა მათ ამისთვის.

ინა ბახტაძე - დიზაინერი, სარეკლამო მენეჯერი, არტისტი, wedding (events) designer. სწავლობდა თბილისი სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ფერწერის ფაკულტეტზე. სწავლა განაგრძო კომპიუტერული გრაფიკის მიმართულებით 3D MAX -ის კურსებზე. თანამშრომლობს სხვადასხვა კომპანიებთან დიზაინერის სტატუსით. აფორმებს ვიტრინებს, აკეთებს ღონისძიებებისა და კონცერტების გეგმარებას. ამჟამად გადაცემა “რემონტის” დიზაინერია.

dt_ რა არის თქვენი სპეციალობა. რომელ დისციპლინაში თვლით თავს პროფესიონალად

პროფესიით ვარ ფერმწერი, სპეციალობა კინო-ტელე მხატვარი, ვსწავლობდი ინტერიერს, და მატერიალური კულტურის ისტორიას. თავის დროზე ეს სპეციალობა არ იყო მოთხოვნადი….. მაგრამ შემდგომ დავიწყე ამ ცოდნის გამოყენება ჯერ ვიტრინების დიზაინში, შემდგომ მაღაზიების დიზაინში. ვთვლი რომ ჩემი პროპესიონალურად ძლიერი მხარე ვიტრინების დიზაინში და დეკორატორობაში ვლინდება.

dt_ რა გამოცდილება მიიღეთ იმედის “რემონტთან” თანამშრომლობით

გამოცდილებას ვღებულობ იმ მხრივ, რომ შეზღუდული ბიუტჯეტით მინიმალურ დროში კომპოზიციურად ვკრავ ოთახს.

dt_ გადაცემის ნახვის შემდეგ შეცვლიდით პროექტში რამეს თავიდან რომ მოგიწიოთ იგივე ობიექტის დაპროექტება?

გადაცემის ნახვის შემდეგ რა თქმა უნდა მებადება შენიშვნები, ვინაიდან ეკრანზე ბევრი რამე სხვანაირად ჩანს, მაგალითად ფერები უფრო მკვეთრი გამოდის, როცა მე პირადად პასტელური ფერების ინტერიერი მიყვარს, მკვეთრი დეკორატიული ელემენტებით.

dt_ პროექტის განხორციელებისას სრული თავისუფლება გაქვთ ტექნოლოგიური თვალსაზრისით და მასალების მხრივ

არა ვარ თავისუფალი, მაგრამ ვთვლი რომ ეს უპრო საინტერესო ამოცანაა, მინიმალურ პერიოდში შეზღუდული თანხებით გააკეთო საინტერესო ინტერიერი.

dt_ რას ურჩევთ დიზაინერებს, რომლებიც თქვენს შემდეგ ითანამშრომლებენ გადაცემა რემონტთან

ახალგაზრდა დიზაინერებს ურჩევ, რომ პროფესიონალურად მიუდგნენ გადაცემისთვის ინტერიერის პროექტირებას.

dt_ რას უსურვებთ გადაცემა “რემონტს”

გადაცემას ვუსურვებ მეტ კრეატიულობას.

16. ცილინდრული ოთახი სამი პერსონისთვის

18. სარკე ფერადი ანარეკლებისთვის

21. ფოლადის იალქნები

24. აბაზანა კონსტრუირებული ძველი ფანჯრებისგან

25. წრიული ლოგინი მოძრაობას იწყებს პედლის მეშვეობით

26. ტუალეტი მოწყობილი სიკვდილმისჯილთა საკანში

27. აბაზანა კარადაში

28. მწვანე ტყავის ოთახი უდავოდ წარჩინაბულთათვის

PROPELER ISLAND CITY LODGE

--

სასტუმრო ბერლინში

ეს არის ესთეთიკური გამოგონება ყურებისთვის და თვალებისთვის - PROPELER ISLAND CITY LODGE ამ სახელწოდებით გერმანელი ხელოვანი ლარს სტროშენი (Lars Stroschen) აქვეყნებს თავის აუდიო-ვიდეო კონცეპტებს.
უსაზღვრო მრაფვალფეროვნება - არაფრის გამეორება და არაფრის კოპირება, ეს დებულება უდევს ყველაფერს საფუძვლად. აქ არ არის ნაყიდი ნივთები ყოველი ობიექტი ინდივიდუალურია.
იყვნენ ისეთი ტურისტები რომლებიც ამბობდნენ, რომ ბერლინში ყველაზე მეტად City Lodge მოეწონათ.

პროექტი -- Box studio. ფართობი -- 148 მ ^{2} . შესრულდა -- 2012 წელს. პროექტზე მუშაობდნენ: თამარ არველაძე, მარიამ მარგველაშვილი, რამაზ ჩანტლაძე, ლაშა კოტრიკაძე, შაკო ერაძე. ფოტო ლაშა კოტრიკაძე

Box studio 2011 წლის ივნისში თამარ არველაძის და ლევან თავხელიძის მიერ დაარსდა. სტუდია ორიენტირებულია არქიტექტურულ პროექტირებასა და ინტერიერის დიზაინზე. ამ ხანმოკლე პერიოდში სტუდიაში არაერთი საინტერესო პროექტი შეიქმნა. მათ შორის აღსანიშნავია, ქალის სამოსის ბრენდ "ბროდვეის" მაღაზია, რომელის პრეზენტაცია 5 მაისს მოხდა. ამ სივრცის დიზაინის იდეაში უარყოფილია გრავიტაციის პრინციპი. მაღაზიის ინვენტარი, მათ შორის გასახდელები და შიდა დასასვენებელი ოთახიც კი ჰაერში ტივტივებს, ეს ეფექტი კონსტრუქციის ფერისა და განათების მეშვეობით არის მიღწეული. "იატაკზე მხოლოდ ადამიანები დადიან".
თეთრ სივრცეში არსებულ ძირითად მინიმალისტურ ავეჯთან საინტერესო კონტრასტს ქმნის სპილენძის ხელნაკეთი სანათები, საკიდები და სპეციალურად ამ ინტერიერისთვის, მხატვარ რამაზ ჩანტლაძის მიერ შექმნილი კომპოზიციები რომლებიც, თანამედროვე ტექნოლოგიების დახმარებით კედლებსა და მაღაზიის აბრაზეა გადატანილი. აღსანიშნავია რომ, ინტერიერის ყველა დეტალი ხელნაკეთია და შექმნილია საქართველოში, ბოქს სტუდიოს დიზაინერების მიერ.

სასტუმროს ინტერიერი დიდად განსაზღვრავს დასვენების დროს მიღებულ შთაბეჭდილებებს, ამიტომაც Boombully -ის მასპინძლები თვლიან, რომ დიზაინი გადატვირთული არ უნდა იყოს. მცირე, უმეტესად ორ ფერში გადაწყვეტილი დეკორაციებით ბუმბულის კედლები თითქოს თბილისის უახლეს ისტორიას გვიყვება. აქ ბოლო რამდენიმე ათწლეულის პოპ-კულტურის ანთოლოგია შესანიშნავად გადმოსცემს იმ ურბანულ კულტურას რაც Boombully -ის გარშემო არსებობს. მნიშვნელოვნად სწორედ ამან განაპირობა მაღალი ინტერესი ქალაქის სტუმრების მხრიდან, რომელთა უდიდეს ნაწილს ახალგაზრდა მოგზაურები წარმოადგენენ.
ამ ყველაფერმა თავისი შედეგი უკვე გამოიღო და Boombully ჰოსტელში სულ უფრო ხშირად შეხვდებით სტუმრებს, რომელთაც თბილისის უფრო სიღრმისეული კუთხით დანახვა სურთ. დიზაინზე, ისევე როგორც სახელისა და ლოგოს შექმნაზე, ჰოსტელის დამფუძნებლები მუშაობდნენ. სწორედ მათი იდეა იყო Boombully -ის დიზაინში ყოფილიყო ისეთი კრეატიული პრინტები როგორიცაა: 90-იანების ცნობილი კომპიუტერული თამაშის გმირები და სვიტერებით შემოსილი ირმები, ბრიტანული როკ ჯგუფის ალბომის ყდა (Joy Division – Unknown Pleasures). იდეის უშუალოდ კედელზე გადატანაზე იზრუნეს მხატვრებმა: გიორგი მაღრაძემ (დადამ) და მუსია ქებურიამ. თუმცა, Boombully -ის მთავარი კონცეპტი მაინც სხვადასხვა დიზაინერული სტილების შერწყმაში გამოიხატება, აქ ერთად არის თავმოყრილი, როგორც ძველი და ანტიკვარული, ასევე თანამედროვე და კომფორტული ავეჯი და ნივთები, მაგალითად ჰოსტელის ცენტრალურ ოთახში, რომელიც სტუმრების თავშეყრის ადგილია, ორიგინალურ ერთობლიობას ქმნის დიდი ანტიკვარული ჭაღი და გასული საუკუნის სარკე, თანამედროვე პრინტები და მყუდრო, ფერადი პუფები...



Triple Table. დიზაინი: ია ქუთათელაძე

მაგიდა შედგება ლითონის ფეხებისგან და ლითონის მილოვანი გადაბმებისგან. კონსტრუქციის ყველა ნაწილი შეღებილია. ზედაპირი დამზადებულია Mdf -ისგან და ისიც შეღებილია.

კაფე გალერეის ინტერიერში არ არის გამოყენებული ძვირფასი მოსაპირკეთებელი მასალები, ავეჯი, განათება, ყველაფერი არის მარტივად გადაწყვეტილი. მაგალითად იატაკი არის უბრალო იატაკის ფიცარი რომელზეც დახატულია ხალიჩა. კედლები პირველ სართულზე და მანსარდაში არის თეთრი, საგამოფენო სივრცის შესაქმნელად, კედლებზე მოწყობილია ნახატების ჩამოკიდების საკმაოდ პრაქტიკული და არასტანდარტული დაკიდების სისტემა. კედლებზე განლაგებულია ბევრი ცნობილი ქართველი მხატვრის ნახატი. ეზო შემოფარგლულია მოხატული კედლებით და საოცარ მყუდროებას ქმნის მრავალრიცხოვანი მცენარის ხარჯზე.

ინტერიერის ავტორი
ალექსანდრე (სანდრო) ანთაძე

წინანდლის ღვინის კურორტი

ჯონ ფოტიადისის (John Fotiadis Architect PLLC) არქიტექტურული კონცეპცია და ინტერიერის დიზაინი

მოსასვენებელი სივრცე არსებულ ლაბორატორიაში

სასტუმროს ვესტიბიული

მასალა მოგვაწოდა სილქ როუდ ჯგუფმა





თუ გაქვთ სურვილი რომ თქვენი ფოტო გამოქვეყნდეს შემდეგ ნომერში, გამოგზავნეთ თქვენი საუკეთესო ფოტოები მისამართზე more@designtbilisi.ge


FAMILY 3. design: Irakli Kiziria. pdf ფორმატის ჩამოტვირთვა შესაძლებელია საიტიდან -- http://www.jeder-qm-du.de/platte-kreativ/platte-gestalten/tapeten/family/

acid bar გლდანი. ინტერიერის დეტალი. დიზაინი: კანტორა

კაფეებზე სასაუბროდ კალა-ჯგუფის დამფუძნებლებს, ქეთი გაბაძეს და ბაჩო მიქაძეს ვესტუმრეთ "კალაში", რომელიც მათი თქმით გარდა მათი საყვარელი ადგილისა, მათი სამუშაო გარემო, მთავარი სიყვარული და პირველი კაფეა.

კალა-ჯგუფის კაფეების დიზაინი

ბაჩო: ძირითადად 2 დიზაინერთან ვმუშაობთ. გუგა კოტეტიშვილთან და „კანტორას" გოგოებთან. "acid" -ები მთლიანად "კანტორასთვის" გვაქვს გადაბარებული და უკვე მეოხთე „acid" -ს გვიკეთებენ. თვითონაც ცდილობენ და ჩვენც ვცდილობთ, ერთნაირად რომ არ იყოს დაშტამპული და განსხვავებული კაფეები გამოვიდეს.

ქეთი: ქსელი თვითონ ისეთი რაღაცაა, რომ მერე ფუჭდება ხოლმე და ის აღარ არის, ამიტომ ჩვენ ვცდილობთ შევინარჩუნოთ მიმზიდველობა და გავაკეთოთ სხვადასხვანაირი, და არა ერთნაირად, რაც უფრო მარტივია. ჩვენ ვცდილობთ რომ ყველა ახალი კაფე, რასაც გავაკეთებთ, უბანს, სიტუაციას, მოვარგოთ. "კანტორას" გოგოები ამ ამოცანას ჯერჯერობით გადასარევად ართმევენ თავს.

ბაჩო: მაგალითად, ბოლო იყო გლდანის "acid" ბარი და ყველაზე კარგი გამოვიდა. ახლა ვხსნით ერეკლეს ქუჩაზე ახალ მეგრულ რესტორანს, რომელიც გუგამ გააკეთა.

ქეთი: გუგა უფრო ქართულ სტილშია, ცოტა აზიური მოტივებიც უყვარს და ვთვლით, რომ ამას გადასარევად ართმევს თავს. ის კაფე, რომელიც ბოლოს გააკეთა გუგამ, ეს მეგრული რესტორანი, იქნება "პასტორალი", ოთარ იოსელიანის ფილმის სახელის მსგავსად. გუგა როცა მუშაობს, ყველა ჩართულები ვართ ხოლმე პროცესში და წინასწარ არასოდეს არ ვიცით, რა გამოვა. ჯერ ერთ კედელს შევღებავთ, მერე ვხვდებით, მეორე რა ფერი შეიძლება იყოს და ასე. კანტორას შემთხვევაში წინასწარ გვაქვს ხოლმე პროექტი და ზუსტად ვიცით, რას ვაკეთებთ. ორივე პროცესი თავისთავად საინტერესოა. არასოდეს გვიფიქრია აქამდე, რომ ვინმე სხვას დავკავშირდებოდით დიზაინის ასაწყობად რამდენიმე მიზეზის გამო. პირველ რიგში, ვთვლით, რომ საქართველოში საუკეთესო დიზაინერები ისედაც ჩვენთვის მუშაობენ, თან ვთვლით, რომ ქართულ გარემოს ყველაზე ადეკვატურად მაინც ქართველი ერგება, უკეთ გიცნობს, იცის, რა უნდა
გააკეთოს, ამიტომ ადგილობრივი ბაზრის გარეთ გასვლა არც გვიფიქრია. გარდა ამისა, ახალი დიზაინერი შეიძლება მაშინ დაგვჭირდეს, როცა ის, ვისთანაც მუშაობ, ვეღარ გეწევა და სხვა რამეს აკეთებს, იმისგან განსხვავებულს, ვიდრე შენ ითხოვ. ჩვენ ჯერჯერობით კარგად ვუგებთ ერთმანეთს და ერთად ვიზრდებით, შესაბამისად, ახალს არ ვეძებთ.

სხვა კაფეები

ქეთი: მე ძალიან მომწონს ეს გაბრიძის "არ დაიდარდო". სანამ გააპრიალებდნენ, კიდევ იფრო მომწონდა. „პურ-პური" მომწონს, ეგეც გუგას გაკეთებულია. ჯამბო და ქეთი აკეთებენ კაი რამეებს, აი, მაგალითად, "რუმსი". „ჰოლიდეი ინში" ვიყავი ამასწინათ, იქაც მომეწონა, კარგად იყო გაკეთებული. ბეთანიაში მივდივარ ხოლმე, ზახარ ზახარიჩთან, ზამთარშიც არ მეზარება ხოლმე ხინკლისთვის, ან რამე ეგეთისთვის საჭმელად ასვლა. ბუნებაში ეგეთ საჭმელს სხვა "მუღამი" აქვს. "ტარტინში" დავდივარ ხოლმე სალომესთან აბაშიძეზე. მყუდრო გარემოა და მომწონს. "შავი ლომი" მომწონს კიდე, მერიკო ყავთ გადასარევი გოგო, არაჩვეულებრივ საჭმელებს აკეთებს, დიზაინი მანდაც გუგასია. მე არ მომწონს ისეთი ადგილები, სადაც არ დგას აურა. საერთოდ, მიყვარს, როცა პატრონი თვითონ აკეთებს რამეს და ჩართულია ამ საქმეში და ეს არ არის ვიღაცა დიდი მუშა ჯგუფის გაკეთებული საქმე. ჩვენც დაახლოებით ეგეთი კაფეები გვაქვს, მობუტიკო, მოარტსალონო და ეტყობა სხვაგანაც იმიტომ ვეძებ ხოლმე მსგავს გარემოს.

ბაჩო: სადმე თუ მივდივარ ან იმის გამო, რომ რამე კონკრეტულის ჭამა მინდა, ან იმიტო, რომ აღარ მინდა ჩემ კაფეში და სადმე სხვაგან მინდა გასვლა. ასე დავდივარ ხოლმე კონსერვატორიასთან ჩინურში, სახინკლეებში იმიტომ, რომ ჩვენ კაფეებში ჯერ არ არის ეგეთი საჭმელები და მიყვარს. სხვაგან სად დავდივარ, არც მახსოვს.

პირველ კაფეს რომ ვხსნიდეთ...

ქეთი: ალბათ გავაკეთებთ ქართულ საჭმელებიან კაფეს. ამდენი ხნის განმავლობაში რასაც მივხვდით ის არის, რომ ჩვენ უნდა ვაკეთოთ ის, რაც ჩვენია და რაც კარგად გამოგვდის. გარდა ამისა, ტურისტების რაოდენობა უფრო და უფრო იზრდება და იმათ პირველ რიგში უნდათ ქართული საჭმელი. ქართველებიც მიხვდნენ, რომ კარგია ეს ქართული საჭმელი, მიჩვეულები არიან, უყვართ, იაფია და აღარ იპრანჭებიან. მეორე მხრივ, ახალგაზრდებისაც გვესმის, რომ ყოველთვის არ უნდათ ეს ჩვეული ამბები და ზოგჯერ გაქცევა შეიძლება უნდოდეთ. ამიტომ, გავაკეთეთ ეისიდები. სავარაუდოდ, იგივეს ვიზამდით, ახლა რომ ვიწყებდეთ ჩვენ საქმეს. სავიზიტო ბარათი განსაკუთრებით რაზეც ვზრუნავთ, სერვისია. მეგობრული დამოკიდებულება, იაფი და გემრიელი საჭმელი. ჩვენც გვქონია პროექტები, რომელმაც არ გაამართლა. რომ დავუკვირდით, რამ არ გაამართლა, იყო ზუსტად ის, სადაც ფასები იყო შედარებით დიდი. ამას კაი ხანია მივხვდით და ახლა განვაგრძობთ ჩვეული გზით სიარულს. ის, რაც მოდურია და ძალიან ძვირია, 2 წელიწადში აქტუალური აღარ არის, ამიტომ ჯობია სწორება აიღო არა მოდაზე, არამედ იმაზე, რაც უკვე ხასიათია და გამჯდარია. ამის გარდა, ჩვენ სულ გვაქვს ისიც, რომ რასაც სადმე სხვაგან ვნახულობთ კარგს, გვინდა რომ ის თბილისშიც იყოს. მარტო საჭმელებზე კი არა, ყველაფერზე. მაგალითად, სადმე კარგ გალერეაში რომ შევდივართ, სულ ვფიქრობთ, რომ რატომ არ უნდა იყოს ასეთი თბილისშიც. ყველაფერს ჩვენ ვერ გადმოვიტანთ, მაგრამ რისი გადმოტანაც შეგვიძლია, იმას ვცდილობთ. მაგალითად, პიტნიანი ჩაი თაფლით პირველად დავლიეთ ამსტერდამში, სადაც დიდი, უყურო ფინჯნებით მოქონდათ და ეგრევე დავრეკეთ თბილისში და ვთქვით, რომ ეს ჩვენს ქსელში უნდა შემოსულიყო. ასე ვზრუნავთ იმაზე, რომ ჩვენი და სხვების საუკეთესო ტრადიციები გავაერთიანოთ და საუკეთესო პროდუქტი შევქმნათ.

////////////// ნასტასია არაბული





რესტორანი პასტორალი. ინტერიერი. დიზაინი: გუგა კოტეტიშვილი

acid bar გლდანი. ექსტერიერი. დიზაინი: კანტორა



since 1885

CAPAROL

ღასასხმელი იატაკები

სამშენებლო კომპანია გეოკომ ქართულ ბაზარზე ახალი მიმართულებით დაიწყო ოპერირება. ულტრათანამედროვე დიზაინი და უმაღლესი ხარისხი უკვე საქართველოშიც ხელმისაწვდომია. კომპანიის ერთ ერთი მიმართულება ეკოლოგიურად სუფთა სახლებია. ავსტრიული მოსაპირკეთებელი მასალა უმაღლესი ტექნოლოგიებით არის დამუშავებული. ხის სახლების მშენებლობა გეოკოში 312 დოლარი ღირს, რაც სრულიად ხელმისაწვდომი ფასია ქართველი მომხმარებლისთვის. კომპანია უახლოეს მომავალში გეგმავს აზერბაიჯანისა და სომხეთის ბაზრებზე შესვლას. გეოკოში შესაძლებელია ნებისმიერი მოცულობისა და დიზაინის სახლების მშენებლობა. არქიტექტურულ გადაწყვეტას გეოკოს შვილობილი კომპანია თბილისი დიზაინი გთავაზობთ სადაც ქართველი და უცხოელი არქიტექტორები სრულად აკმაყოფილებენ მომხმარებლის მოთხოვნებს. თბილისი დიზაინში შექმნილია მრავალი ულტრათანამედროვე პროექტი და რაც მთავარია გეოკოში სახლის აშენების შემთხვევაში თქვენ უფასოდ იღებთ არქიტექტორულ მომსახურებას. თუ ხის სახლის მშენებლობას გადაწყვეტთ გაეცანით უამრავ პროექტს რომელსაც ეს კომპანია ახორციელებს. www.geoco.ge

თამარ ადეიშვილი
ინტერიერის დიზაინერი

2007 წელს დაამთავრა ა. ქუთათელაძის სახელობისთბილისისსახელმწიფოსამხატვრო აკადემია, არქიტექტურის ფაკულტეტი, ინტერიერის დიზაინი. შემდეგ გაიარა ტრენინგები დიზაინის და არქიტექტურის კუთხით, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ (იტალია,უკრაინა).
კომპანია საბას ხელშეწყობით და პატრონაჟით გაიარა მასტერ კლასები, იტალიაში, კერძოდ მილანში მსოფლიოს წამყვან დიზაინერებთან; ამ პერიოდში მის სახელს უკავშირდება მრავალი ნოვატორული პროექტის შექმნა.

dt_ რამდენი წელია საბა და კომპანიაში მუშაობ?

საბა და კომპანიასთან ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი 5 წელი მაკავშირებს.

dt_ რას აფასებ შენს მიერ დაგროვილ გამოცდილებაში?

ჩემმა გამოცდილებამ მასწავლა, ერთი მნიშვნელოვანი რამ – ყველა მოვლენა და პროცესი რაც სამყაროშია, იმდენად მრავალფეროვანია რომ ყოველთვის შეიძლება რაღაცა ახალი, კარგი და მნიშვნელოვანი ავიღო მისგან და ჩემს შემოქმედებას დავუკავშირო.
უნიჭიერეს არქიტექტორ ზურაბ თათეშვილთან თანამშრომლობამ, ბევრი პროფესიული თვისება შემძინა. მის მიერ დაარსებულ სტუდიაში ჩემი და ოთარ დუმბაძის ერთობლივი მუშაობით, ბევრი საინტერესო პროექტი შეიქმნა, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ.

dt_ როგორი ურთიერთობა გაქვს დამკვეთთან?

პირველ რიგში ვცდილობ კარგად გავიცნო მისი ხასიათი, მისი ინტერესი, თუ რა მოსწონს მას, რა თქმა უნდა ამის შემდეგ მყარდება ურთიერთპატივისცემა და მეგობრული ურთიერთობა.

dt_ შეიცვალა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში დამკვეთის დამოკიდებულება დიზაინერის მიმართ?

ზოგადად რათქმა უნდა შეცვლილია უკეთესობისკენ, ვგულისხმობ იმას რომ სულ უფრო და უფრო მეტ ადამიანს სურს თავის გარემოში, სახლი იქნება თუ ოფისი, შექმნას ესთეტიკური გარემო. ქართველებს ყოველთვის განსაკუთრებული გემოვნება ჰქონდათ, ამიტომ დიზაინერის მიერ მიწოდებული ხარისხიანი პროდუქტი, ყოველთვის ადეკვატურად არის აღქმული და შეფასებული.

dt_ ინტერიერის პროექტირებისას რა გარემოებას ანიჭებ უპირატესობას?

ინტერიერის პროექტირებისას უპირატესობას ვანიჭებ პრაქტიკულობას, ბუნებრივ განათებას და სისადავეს ანუ მინიმალიზმს.

dt_ შენ აკათებ პრაგმატულად გამოზომილ, მინიმალისტურ ინტერიერის დიზაინს. ეს დამკვეთის სიფრთხილით აიხსნება თუ შენ აძლევ ამ მიმართულებას პროექტირების პროცესს?

ამ ყველაფერს რათქმაუნდა მე ვაძლევ მიმართულებას, რა თქმა უნდა დამკვეთთან შეთანხმებით. ჩვენთვის უმაღლეს ღირსებას წარმოადგენს სიმარტივე. ყოველთვის ვცდილობ საჭირო ნივთებით იყოს გაწყობილი ინტერიერი, ყოველ საგანს თავისი ფუნქცია ქონდეს, სადაც ადგილი არ ექნება უსარგებლო, გამოუყენებელ ნივთს. რომელიც უარყოფითად მოქმედებს ადამიანის განწყობაზე.

dt_ იტალიელმა დიზაინერმა ვიკო მაგისტრეტიმ (Vico Magistretti) თქვა "სიმარტივე არის მთავარი ხარისხი დიზაინში, ამიტომ ჩვენი იდეები რაც შეიძლება შორს უნდა გადავდოთ"...
შენ გაქვს შორს გადადებული იდეები?

როგორც ზემოთ ავღნიშნე, ჩემი იდეები სწორედ სიმარტივესა და ხარისხს უკავშირდება. ამიტომ მაქსიმალურ თავისუფლებას ვანიჭებ ჩემს იდეათა სამყაროს!

საცხოვრებელი სახლის ინტერიერი. არქიტექტორი: ზურა თათეშვილი

ვლადიმერ კობახიძე

“Volkswagen Plus” master course project ____018 dt

<u>განათლება:</u>
1989-1999 სამხატვრო სკოლა. თბილისი, საქართველო
2000-2005 საქართველოს ტექნიკური ინსტიტუტი - არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარების და დიზაინის ფაკულტეტი. თბილისი, საქართველო
“Domus academy” - მასტერ კურსი, ტრანსპორტის დიზაინი (Master course in car design and mobility) 2009-2010 მილანი, იტალია
<u>პროფესიული გამოცდილება:</u>
ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის რეკონსტრუქციის პროექტი 2006 - ინტერიერის მთავარი დიზაინერი. თბილისი, საქართველო.
PEUGEO -ის საერთაშორისო კონკურსის პრიზიორი 2006-2007 - პროექტი “PEUGEOT Zippy”, საერთაშორისო კონკურსი.
ციკოლია დიზაინი 2008-2009 - დიზანერი. თბილისი, საქართველო.
Zagato 2010 - ავტო დიზაინერი. მილანი, იტალია.
INNOVO-DESIGN 2010-2011 - ტრანსპორტის დიზაინის მთავარი დიზაინერი. ჰანჯოუ, ჩინეთი.

Time Lapse

რუმსის სტენდი მილანში Salone satellite 2012

2012 წლის 17-22 აპრილს რუმსმა მესამეჯერ მიიღო Salone satellite -ის საგამოფენო სივრცეში მონაწილეობა. ქეთი თოლორაიამ და ნატა ჯანბერიძემ მილანში წარადგინეს ახალი კოლექცია სახელწოდებით “Time Lapse”.

წელს რუმსმა მილანში მიიღო მოწვევა გალერეა “Mint”-ისგან ლონდონის დიზაინ კვირეულზე მონაწილეობის მისაღებად, რომელიც გაიმართება 2012 წლის სექტემბერში.

TON
ევროპული საამების სალონი
European Chair Salon
პეკელიძის ქ. 14
Tel: 2 23 23 74
salon@ton.ge
www.ton.ge

ეკრანი 01
აბანოთუბანი

GQ /ჟურნალი/
ფილლიპ დუდიტი
ბრიუს გილდენი
სტეფან რემაელი
ლენა მოჟე
ანიეს დერბეისი
ენდრიუ მარშალი
ჟან-კლოდ ფინგერვალდი,
შერილ ნიელდსი
ჰუე ლაუსონ ბოდი
ნადავ კანდერი
შტეფან გალუა
პატრიკ სვირკი

<u>ფონდი “ობიექტური რეალობა”</u>
ვალერი ნისტრატოვი
კონსტანტინ სალომატინი
საპროტესტო გამოსვლები რუსეთში

VOX POP /ჟურნალი/
დელფინ გოზაროსიანი
მანუელ ბრონი
შამუელ კირზენბომი
ჟულიენ მინიო
მატიე ზაზო

ეკრანი 02
მეიდანი

MYOP /კოლექტივი/
გიომ ბინე
ლიონელ შარიე
ჟულიენ დანიელი

RUSSIAN REPORTER MAGAZINE /ჟურნალი/
ტატიანა პლოტნიკოვა
დიმიტრი ბელიაკოვი
სერგეი მაქსიმისინი
არსენი ნესხოდიმოვი
იური კოზირევი
<u>აზერბაიჯანული ფოტოგრაფია</u>
ილკინ ჰუსეინოვი
ტაჰმინა ალი
სიტარა იბრაჰიმოვა

ეკრანი 03
ბამბის რიგი

NOOR /სააგენტო/
ნინა ბერმანი
კადირ ვან ლოჰუიზენი
პეპ ბონე
სტანლი გრინი
იური კოზირევი
ფილლიპ ბლანკინსოპი
ალექსანდრა ფაზინა
ჯონ ლოუენსტეინი
ფრანჩესკო ზიზოლა

LIBERATION /გაზეთი/
ჰეან მიშელ სიკოტი
კორანტენ ფოჰლენი
ლორან ტრუდი
მარკ შომეილი
ვინსან ნგუენი
კრისტოფ მაოტი
ოდუამ დესფორში,
ედოუარდ კოპეილი
ღაფაელ დიტინი
შებასტიან კალვეტი
ჟერომ ბონე
იან რაბანეე
ჟულიენ მინიო

TENDANCE FLOU /კოლექტივი/
ბიეკე დეპოორტერი
ალენ უილიამი

ეკრანი 04
ზარდენის მოედანი

GROZNY: NINE CITIES
ოლგა კრავეცი
ოქსანა იუშკო
მარია მორინა

LE MONDE MAGAZINE /ჟურნალი/
პაოლო ვუდსი
კლოდინ დური
ჟერომ ბრეზიონი
რემი ოშლიკი
მიშელ ბორზონი
სომეონე დონატი
პიეტრო პაოლინი
როკო რორანდელი
ვიმ ვენდერსი
დენის რუვრი

PALM SPRIRNG FESTIVAL /ფესტივალი/
ევგენია არბუგაევა
ტომ ჯონსონი

MODDS /სააგენტო/
ჟერომ ბონე
პატრიკ სვირკი
ანტუან ლე გრანი
ჟან-ფრანსუა რობერი
ვენსან ფერანე
რობერტო ფრანკენბერგი
დენის რუვრი

ეკრანი 05
ერეკლე II -ის კუჩა

VU /სააგენტო/
მაია ფლორი
დევიდ სოვერი
ჟან-კრისტიან ბურკარი
მარტინ კოლარი
პაოლო ვერზონი
ბერნარ დესკამპი

METROGRAPHY /სააგენტო/
ფაზარ მოჰამადი
ალი არკადი
ფარჰად ბაბეი
ჰაურე ჰალიდი
სარტეპ ოსმანი
კამარან ნაყმი
ოაეს კაზმი
სეერვან აზიზი
არი მოჰამედი
არამ კარიმი
ჰაედერ ომარი
აკამ შეიხ ჰადი

<u>ტაბულა</u> /ჟურნალი/
ირაკლი ბლუოშვილი
სანდრო ჯანდიერი

GO GROUP MEDIA
ყაზბეგ ბასაევი

ეკრანი 06
ლესელიძის კუჩა 28

WORLD PRESS PHOTO MASTERCLASS /ორგანიზაცია/
ლურდეს რ. ბასოლი
მესი ქროუ, ჟულიო დი სტურკო
ადამ ფერგუსონი,
დომინიც ნარი
სარა ელიოტი, ლისეტ ლემუსი
ალვარო იბარა მავალა
საიფულ ჰუქ ომი
ედ ოუ, ანდრეა გისტვანგი
ჯასტინ მახონი

<u>სომხური ფოტოგრაფია</u>
ნაზიკ არმენაკიანი
აზნივ ანდრეასიანი
ანაჰიტ ჰარაპეტიანი
რიფსიმე გევორგიანი
ინა მხიტარიანი

IA DONNA /ჟურნალი/
სიმონა გრიზონი

ELLE /ჟურნალი/
ლი ბრუნფილი
კაიტ ბარი
ლუდოვიც კარემი
ოლივია გრეი
ბრუს გილდენი
პოლ გრეივსი
სტივ ჰიეტი
მატ ჯონსი
კატალინა მარტინ ჩიკო
ჟან-ბატისტ მონდიანო
დევიდ ოლდამი
ბენუა პეეერელი
დუსან რელჟინი
ლუსილ რეიბოზი
მარკ სელიგერი
პატი სმიტი
პატრიკ სვირკი
დევიდ ვასილიევიჩი
იან ვალტერსი
პაოლო ვუდსი

ეკრანი 07
გ. აბესაძის ქ. 19

TELERAMA /ჟურნალი/
ლეა კრესპი
უილიამ დენიელსი
სარა მუნი
მატიას დეპარდონი
გრეგუარ ალექსანდრი
ჟან-ფრანსუა რობერი
რუშარ დიუმა
სედრიკ დელსო
პატრიკ სვირკი
ჟერომ ბონე
ადამ კოზაკი
პიერ ემანუელ რასუანი
ლორან სერუსი
შტეფან ლევუ
ოლივია დროეშო და
ივ დეტერი
ჟულიენ დანიელი

SFR JEUNS TALENTS /პრიზი/
მარინ ჰოკი
5 ლაურეატი ფოტოგრაფი

PHOTOGRAPHY.COM /საიტი/
ჩენგ ზიაო
ჩენგ გონგ
დენგ ვეიმინ
დი ჟინჟუნ
დუ ჰაი
ლი ლე
ლინ შუ
ლუი ფეი
რონგ გუანგრონგ
სვენ ვეი
ვონგ ტონგ
ვენ ფეი
ქსი გაოკიანგ
იან უიბო
იანგ იანიან
უან უი
ჟანგ ბინგ
ჟანგ ლიჟი
ჟანგ ქსიაო
ტიბო ბრუნე

ეკრანი 08
გუდიაშვილის ბაღი

<u>თბილისის ფოტოგრაფიის სახლი</u> /ორგანიზაცია/
ნათელა გრიგალაშვილი
იუსტინა მელნიკევიჩი
თემო ბარძიმაშვილი

<u>ალესიო რომენცი</u>
სირია 2011-12

LEIKA AKADEMIA MOSCOW /ორგანიზაცია/
ილია ბატრაკოვი
ლუდმილა ზინჩენკო

ეკრანი 09
ბეთლემის კუჩა

<u>ირანული ფოტოგრაფია</u>
ბაჰმან ჯალალი
აბას კოვსარი
ტაჰმინ მოწზავი
კავეჰ გოლესთანი
მოჰსენ რასტანი

PRIVATE /ჟურნალი/
ფენგ ლი
ვანგ ტონგი
სუ შენგი
კირკ ეკინგამი
ჰიუნ-სუნ იონი
ჟეონგ მე იუნი
სუნტაგ ნოჰი
ჟულიან პეზრელი
კატრინ კუკი
მიშელ ბრიზონი
ბრიჟიტ გრინიე

AFGHAN EYES AGENCY
აჰმად მასუდი
მარიამ ალიმი
ჯავად ჯალალი

ეკრანი 10
იერუსალიმის მოედანი

NIGHTS OF PHOTOGRAPHY /ფესტივალი/
აი-ესტელ ბარევრი

BAR FLOREAL /კოლექტივი/
ნატალი მოჰაჯი
მარა მაზანტი
ერიკ ფაკონი
ოლივიე პასკიე
კაროლინ პოტიე

PICTURE TANKS /სააგენტო/
ლორა ბერგი
ადამ პანჩუკი
ლიზ ჰინგლეი



საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით

DESIGNTbilisi
http://designtbilisi.ge

fonts.ge უკანასკნელი დამატებები
ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ
დასახელება: ALK Tall Mtavruli Regular
ავტორი: ალექსანდრე სუკიასოვი

Logodesign
Identity Branding. Visual Branding. Naming.
www.logodesign.ge

more@designtbilisi.ge